ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 5
2026 წლის 04 თებერვალი
ქალაქი ახალციხე

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის #2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**,

მუხლი 1.
შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის #2 დადგენილებაში და დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 4.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 29 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.''

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე საბა კბილაშვილი